ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2684428

ნომერი: AR1415217

თარიღი : 21.06.2016

გაცემის თარიღი : 01.07.2016

გაცნობის თარიღი : 07.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი. ჭავჭავაძის , N 50 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინე აფაქიძე პ/ნ 01019050434
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 50 ბ. 15ა

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1415217 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #50-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #50-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ მონიშნულ

ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ: 2016 წლის 05 აპრილის #2522647 გადაწყვეტილებით გაიცა დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, #AR1390964 განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, #01.14.11.004.013 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ დროებითი სამშენებლო ღობის მოწობასთან დაკავშირებით.

2016 წლის 25 აპრილს #2561129 ბრძანებით ქ. თბილისში, გამზირი ი. ჭავჭავაძის, #50, სს "m2 უძრავი ქონება"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.004.013), შეთანხმდა არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტი და გაიცა მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვა.

სამსახურის მიერ 2016 წლის 06 მაისის №2583463 ბრძანებით და სანებართვო მოწმობით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი #50–ში, სს m2 უძრავი ქონებას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი N 01.14.11.004.013) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, სერვის აპატამენტრბი და საცხოვრებელი) მშენებლობისათვის.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.